

თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტურითვითმმართველობის სხდომის ოქმი #1

შეხვედრა ჩატარდა დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით.

19.10.2021

დაწყების დრო: 21:30

დასრულების დრო: 23:00

დღის წესრიგი:

1. თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სხდომის (შემდგომში სხდომა) თავმჯდომარის არჩევა
2. სხდომის მდივნის არჩევა
3. სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების წესი
4. სხდომის მოწვევის წესი
5. თსუ-ის რექტორისადმი გასაგზავნი წერილის დამტკიცება
6. თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნა და დაკომპლექტება

დელეგატების სრული სია

1. თსუ იურიდიული ფაკულტეტის თვითმმართველობის დელეგატთა სრული სია

- ირაკლი ვაჩნაძე
- გიორგი ეკალაძე
- ვასო მესხი
- მარიამ მეზონია
- მარიამ არჯევანიძე
- საბა ბასილაძე
- ანი ჭყოიძე
- მერაბ დობორჯგინიძე
- ნიკოლოზ ბაქრაძე
- ქეთევან გეთიაშვილი
- თამარ მაზანიშვილი
- გიორგი ლომსიანიძე
- მაიკო ომანაძე
- მარიამ სარქისაშვილი
- საბა შუბლაძე

- ანა მურდულია
- შოთა იასაშვილი
- მამუკა ჩხეიძე
- სერგი ჯავახია
- ირაკლი არიშვილი

2. დამსწრე დელეგატთა სია

- ირაკლი ვაჩნაძე
- გიორგი ეკალაძე
- ვასო მესხი
- მარიამ მეზონია
- მარიამ არჯევანიძე
- საბა ბასილაძე
- ანი ჭყოიძე
- მერაბ დობორჯგინიძე
- ნიკოლოზ ბაქრაძე
- ქეთევან გეთიაშვილი
- თამარ მაზანიშვილი
- გიორგი ლომსიანიძე
- მაიკო ომანაძე
- მარიამ სარქისაშვილი

საკითხი #1 სხდომის თავმჯდომარის არჩევა

სხდომის წარმართვის მიზნით სხდომის თავმჯდომარის კანდიდატად დასახელდა ირაკლი ვაჩნაძე

კენჭისყრის შედეგი: გადაწყვეტილება მიღებული იყო ერთხმად.

დაადგინეს: 2021 წლის 19 ოქტომბრის სხდომაზე თავმჯდომარედ აირჩა ირაკლი ვაჩნაძე, ერთჯერადად, ცალკეული სხდომის გაძღოლის უფლებამოსილებით.

საკითხი #2 სხდომის მდივნის არჩევა

2021 წლის 19 ოქტომბრის სხდომის მდივნის კანდიდატად დასახელდა გიორგი ეკალაძე.

კენჭისყრის შედეგი: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: 2021 წლის 19 ოქტომბრის სხდომის მდივნად აირჩა გიორგი ეკალაძე, ერთჯერადად, მსგავსად თავმჯდომარისა.

საკითხი #3 სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

კენჭისყრის შედეგი: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 13 ხმით

დაადგინეს: სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მინ. 12 დელეგატი და გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით

საკითხი #4 სხდომის მოწვევის წესი

კენჭისყრის შედეგი: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 9 ხმით

დაადგინეს: სხდომები თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების შემუშავებამდე მოიწვევა საჭიროებისამებრ, მინ. 4 დელეგატის ინიციატივით. დელეგატებმა სხდომის მოწვევის შესახებ უნდა აცნობონ წინა სხდომის თავმჯდომარეს და თავმჯდომარე ვალდებულია სხდომის შესახებ დელეგატებს შეატყობინოს 1 დღით ადრე.

საკითხი #5: თსუ-ის რექტორისადმი გასაგზავნი წერილის დამტკიცება

კენჭისყრის შედეგი: გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

დაადგინეს: თსუ-ის რექტორისადმი გასაგზავნი წერილის საბოლოო ვერსია

საკითხი #6 თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნა და დაკომპლექტება

თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა შემდეგი დელეგატებით:

- ირაკლი ვაჩნაძე
- გიორგი ეკალაძე
- მარიამ მეზონია
- მარიამ არჯევანიძე
- საბა ბასილაძე
- ანი ჭყოიძე

- მერაბ დობორჯგინიძე
- მაიკო ომანაძე

თავმჯდომარე: ი. ვაჩნაძე

მდივანი: გ. ეკალაძე